

მათემატიკური ნაწილი

1. რას უდრის 10-ის 40%?

- 0.4
- 1.4
- 4
- 14

2. რას უდრის 197-ის 35%?

- 56.2
- 68.95
- 17.76
- 29.7

3. 15 რამდენი პროცენტით ნაკლებია 19-ზე?

- 0.4 %
- 21.05 %
- 4 %
- 78.9 %

4. რა რიცხვის 64%-ია 48?

- 30,72
- 75
- 78,72
- 112

5. რა რიცხვის 128%-ია 768?

- 600
- 640
- 896
- 983

Academy

ADJARA GROUP

6. 25-ის რამდენი პროცენტია 15?

- 3.76 %
- 15 %
- 1.6 %
- 60 %

7. 2800-ის რამდენი %-ია 154?

- 0.5%
- 0.55%
- 5%
- 5.5%

8. 900-ის რამდენი %-ია 144?

- 12.5%
- 14.4%
- 16%
- 20%

9. ერთი თევზი იწონის 3 კგ-ს. გასუფთავების შემდეგ რჩება 2.1 კგ. წონის რამდენ %-ს კარგავს თევზი გასუფთავების შედეგად?

10. უმი ხორცის წონა 400 გრამია, შეწვის შემდეგ წონა 250 გრამია. პროდუქტის რამდენი % იკარგება შეწვის პროცესში?

11. თუ 4.5 კგ. ცომით ცხვება 150 ცალი ფუნთუშა, რამდენი გრამი ცომი სჭირდება 1 ფუნთუშის გამოცხობას?

12. თუ 1156 გრამი ხორციით მიიღება 8 პორცია, რამდენი გრამი დასჭირდება 6 პორციას?

13. ტარტის წონა 1.8 კილოგრამია. თუ ერთი პორცია 225 გრამს იწონის, რამდენ ნაჭრიანია ტარტი?

Academy

ADJARA GROUP

14. ერთი ჯამი სალათის წონა 1.2 კგ-ია. რამდენ პორციაზე გეყოფა სალათი თუ ერთ პორციაზე იხარჯება 150 გრამი?
15. პიცა ღირს 20 ლარი. თუ პიცა 8 ნაჭრიანია, რა ღირს 1 ნაჭერი?
16. ჯგუფურ მენიუმში, ერთი ადამიანის მომსახურების ფასი 60 ლარია. რამდენმა ადამიანმა მიირთვა ეს მენიუ, თუ ჯამური შემოსავალი შეადგენს 2100 ლარს?
17. კერძის დასამზადება ჯდება 15 ლარი, რამდენ ლარად უნდა გაყიდო კერძი, იმისთვის რომ მიიღო 30%-იანი მოგება?
- 19,5 ლარად
 - 20 ლარად
 - 30 ლარად
 - 45 ლარად
18. 1კგ კარტოფილის ფასი არის 15 ლარი. დამუშავების შემდეგ რჩება 0.75 კგ. რა ღირს 1.5 კგ დამუშავებული კარტოფილი? (30 ლარი)

ლოგიკური ნაწილი

1. მართებულია თუ არა შემდეგი მსჯელობა:
ვისაც ბიომეტრიული პასპორტი აქვს, შეუძლია საზღვარი გადაკვეთოს და ვიზაც არ ესაჭიროება. ლურჯი პასპორტის მფლობელებს ვიზა ესაჭიროებათ. შესაბამისად, თუ თქვენი პასპორტი ბიომეტრიულია, ის ვერ იქნება ლურჯი.
- მართებულია
 - არ არის მართებული
2. მართებულია თუ არა შემდეგი მსჯელობა:

Academy

ADJARA GROUP

ზოგიერთი მცხოვრებული არ არის გავრცელებული ვირუსით დაავადებული. ვირუსით დაავადებული ზოგიერთი ადამიანი დარჩენილია კარანტინის ზონაში. შესაბამისად, კარანტინის ზონაში დარჩენილი არცერთი ადამიანი არ არის მცხოვრებული.

- მართებულია
- არ არის მართებული

3. მოცემულობა შემდეგია:

თანამედროვე ქართული ენის ყოველ მცოდნეს შეუძლია გაიგოს ძველ ქართულ ენაზე შექმნილი როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის ყველა ნიმუში.

ჩამოთვლილთაგან რომელი ეწინააღმდეგება ამ მოცემულობას?

- (ა) ჯანპაოლოს შეუძლია ძველ ქართულ ენაზე შექმნილი საერო და სასულიერო მწერლობის ნიმუშების გაგება, თუმცა თანამედროვე ქართული ენა მან ცუდად იცის.
- (ბ) ჯარედს არ შეუძლია ძველ ქართულ ენაზე შექმნილი სასულიერო მწერლობის ნიმუშების გაგება, თუმცა მან თანამედროვე ქართული ენა იცის.
- (გ) ჯორჯი თანამედროვე ქართულს სწავლობს, თუმცა მას არ შეუძლია ძველ ქართულ ენაზე შექმნილი არც საერო და არც სასულიერო მწერლობის ნიმუშების გაგება.
- (დ) ჯინას შეუძლია ძველ ქართულ ენაზე შექმნილი საერო მწერლობის ნიმუშების გაგება, ხოლო სასულიერო მწერლობის ნიმუშების გაგება არ შეუძლია.

4. მოცემულია წინადადება:

არ არსებობს რესტორანი, რომელშიც ყველა მაგიდა ხისაა.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოცემული წინადადების ტოლფასი?

- ა) ზოგიერთ რესტორანში არის მეტალის მაგიდები.
- ბ) არსებობს რესტორნები, სადაც მაგიდებს ქვით აკეთებენ.
- გ) ნებისმიერ რესტორანში ერთი მაგიდა მაინც მოიძებნება, რომელიც არ არის ხის.
- დ) არ არსებობს რესტორანი, სადაც ერთი ქვის მაგიდა მაინც არ არის.